

შპს ბიზნესცენტრი საბურთალო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2019

		31/12/2019	31/12/2018
	შენიშვნა	000 ლარი	000 ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები		478	166
სავაჭრო მოთხოვნები	6	1,331	1,030
გადახდილი ავანსები		119	75
მარაგები		8	1
სხვა მიმდინარე აქტივები	4	1,589	2,684
ძირითადი საშუალებები	3	4,997	4,741
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	2,569	1,888
სულ აქტივები		<u>11,091</u>	<u>10,585</u>
სავაჭრო ვალდებულებები		159	141
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	649
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	72
სულ ვალდებულებები		<u>159</u>	<u>862</u>
საწესდებო კაპიტალი		5,309	5,309
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		5,623	4,414
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		<u>10,932</u>	<u>9,723</u>
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>10,932</u>	<u>9,723</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>11,091</u>	<u>10,585</u>

შპს ბიზნესცენტრი საბურთალო
საქმიანობის შედეგები
31 დეკემბერი, 2019

შემოსავალი :	31/12/2019	31/12/2018
* საქონლის გაყიდვიდან	285	-
* მომსახურების გაწევიდან	2,697	2,352
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(767)	(516)
საერთო მოგება	<u>2,215</u>	<u>1,836</u>
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,120)	(515)
საპროცენტო შემოსავალი	425	443
საპროცენტო ხარჯი	(32)	(115)
სხვა შემოსავალი	(38)	21
სულ საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	<u>(765)</u>	<u>(166)</u>
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	1,450	1,670
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	<u>1,450</u>	<u>1,670</u>
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1,450	1,670
განკუთვნილი მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	1,450	1,670
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	-	-

შპს ბიზნესცენტრი საბურთალო
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

1 იანვარი 2019

000 ლარი

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი

9,723

კაპიტალის ზრდა/შემცირება

-

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)

(85)

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

1,450

კაპიტალის სხვა ცვლილებები

(156)

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

10,932

31 დეკემბერი 2019

შპს ბიზნესცენტრი საბურთალო
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2019

	31/12/2019	31/12/2018
	000 ლარი	000 ლარი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,919	1,233
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(849)	(168)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(760)	(1,074)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	310	(9)
სავალუტო კურსის ეფექტი	2	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	166	175
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	478	166

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

„ბიზნესცენტრი საბურთალო“ (კომპანია) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა. იგი რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, გაზაფხულის ქუჩა #18.

2019 წლის განმავლობაში კომპანია იყო 100% იანი წილის მფლობელი შვილობილ საწარმოში - შპს „Tbilisi foods and beverages company“ (ს/კ 404 424 324). აღნიშნული კომპანია შპს ბიზნესცენტრ საბურთალოს შერწყა 2019 წლის 23 დეკემბერს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კომერციული/საოფისე ფართების გაქირავება, ხოლო შვილობილი საწარმოსი - სარესტორნო მომსახურება.

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ათას ლარში).

2. შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება :

- საიჯარო მომსახურების დროს ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის ბოლო დღისა (გამომდინარე მისი რეგულარული უწყვეტი ხასიათიდან);
- სარესტორნო მომსახურებისას კი მომსახურების გაწევის მომენტში.

ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე.

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (ერთეული ლარი)	
1 იანვარი, 2019	5,987,987.00
31 დეკემბერი, 2019	6,487,165.00
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2019	(1,246,454.00)
31 დეკემბერი, 2019	(1,490,269.00)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2019	4,741,533.00
31 დეკემბერი, 2019	4,996,896.00

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება წელს ძირითადად გამოწვეულია ახალი ფართის შეძენითა და არსებული ფართის რეალიზაციით. არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივებში წარმოდგენილია სხვა კომპანიებზე გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი.

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები :

სხვა გრძელვადიანი აქტივებში წარმოდგენილია სხვა კომპანიებზე გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი.

6. სავაჭრო მოთხოვნები:

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს კომპანიის მიერ იჯარით გაცემული ფართებიდან მისაღებ თანხებს

7. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები


31/12/2019 ის მდგომარეობით კომპანიას აქვს გაცემული სესხები დაკავშირებულ მხარეებთან:

ჯამში სასესხო მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებთან შეადგენს 3,605 ათას ლარს.

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:


საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

23.12.2020



ხელმოწერა

აღმასრულებელი დირექტორი
ალექსანდრე ნარსია



ხელმოწერა

მთავარი ბუღალტერი
მეგი სულხანიშვილი

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

23.12.2020

ხელმოწერა

აღმასრულებელი დირექტორი
ალექსანდრე ნარსია

ხელმოწერა

მთავარი ბუღალტერი
მეგი სულხანიშვილი